მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოქტომბერი
თიშრეი
№10 (458)
(5780)
2019

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

22-ე მოწვევის ქნესეთის ფიცი

4 ოქტომბერს ისრაელის ქნესეთში გაიმართა 22-ე მოწვევის პარლამენტის წევრთა ფიცის დადების ცერემონიალი, რომელიც სახელმწიფოს პრეზიდენტის რეუვენ რივლინის შესავალი სიტყვით გაიხსნა:

— მე მოგიწოდეთ, შექმნათ კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევლენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. ამ მოწოდების გამო მაკრიტიკებენ. გასაგებია, რომ ყველა არ იზიარებს ამ მოსაზრებას. ჩვენ საგანგებო მდგომარეობაში მოვექეცით. განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ეკონომიკა და ქვეყნის უსაფრთხოება. ჩვენს დემოკრატიას რეალური საფრთხე ემუქრება. ამიტომ თავს მოვალედ ვთვლი, საქმეში ჩავერიო და შევეცადო, შეიქმნას ეროვნული ერთიანობის მთავრობა.

ქნესეთის სპიკერმა იული ედელშტეინმა ფიცი დადო. იგი დროებით გახლავთ პარლამენტის სპიკერი — „ლიკუდი“ და „კახოლ ლავანი“ შეთანხმდნენ, რომ ახალი სპიკერის არჩევამდე, ედელშტეინმა განაგრძოს სპიკერის ფუნქციის შესრულება. ახალი სპიკერი კი არჩეული იქნება მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება მთავრობა. სპიკერმა განაცხადა:

— არჩევნების შედეგი გამოხატავს ჩვენს მოლოდინს, სიფრთხილეს, უწინარესად კი იმას, ყოველ ჩვენგანს, თუ რა მიაჩნია პრიორიტეტად. ისრაელის მოქალაქეებს ერთიანობა სურთ. მობეზრდათ ის, რაც ამ დარბაზში ხდება — ერთმანეთის ძლევისაკენ მისწრაფება.

ი. ედელშტეინმა მიმართა ბ. ნეთანიაჰუს და ბ.განცს:

— ჯერ კიდევ არ არის გვიან. ჩემი კანცელარია აგერ, გვერდით ოთახშია, შებრძანდით, დასხედით და შეთანხმდით. ჩვენ მხოლოდ ერთად გავიმარჯვებთ.

ისრაელის მოსახლეობის 107 რჩეულმა ფიცი დადო და აღიარებული იქნა ქნესეთის წევრად. ამათგან რვა პირველად გახდა ქნესეთის წევრი, ხოლო „არაბთა გაერთიანებული სიის“ 13 დეპუტატი ცერემონიალზე არ მივიდა — მათ ადრევე განაცხადეს, რომ არაბების მიმართ გამოვლენილი ძალადობათა გამო, ამ ცერემონიას ბოიკოტს უცხადებენ.

ახალი არჩევნები?

ბინიამინ ნეთანიაჰუმ მთავრობის შექმნის მანდატი პრეზიდენტ რეუვენ რივლინს დაუბრუნა, რადგან ვერ შესძლო კოალიციური მთავრობის შექმნა. ამ დღეებში ეს მანდატი „კახოლ ლავანის“ ლიდერს ბენი განცს გადაეცემა და თუ ისიც ვერ შექმნის ახალ მთავრობას შესაძლოა ახალი, უკვე მესამე არჩევნები დაინიშნოს.

რ ა ტ ო მ ?

თითქმის ორი წლის წინათ, თბილისის დიდ ბეით ქნესეთში ჩატარებული გაბაის არჩევნებისას ჯამაათის ასმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ ასი წევრიუდან 99 ადამიანმა მერაბ ჩანჩალაშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი და მ. ჩანჩალაშვილი არჩეული იქნა კიდეც სალოცავის გაბაიდ.

ამ დღეებში კი გაბაი მერაბ ჩანჩალაშვილმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა:

— თუ ჯამაათის ათი წევრი მაინც მიიჩნევს, რომ მე უნდა დავტოვი გაბაის პოსტი და თავის მოსაზრებას დამაჯერებლად, კანონიერებიდან გამომდინარე განმარტავს, მზადა ვარ გადავდგე, ხოლო თუ ჯამაათის 40 წევრი ხელმოწერით დაადასტურებს მოწოდებას საჭიროა ახალი არჩევნების ჩატარება, ამ შემთხვევაშიც მზადა ვარ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რა არის ამგვარი განცხადების მიზეზი. მისმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რამ მიიყვანა მ. ჩანჩალაშვილი ამ გადაწყვეტილებამდე, ან იქნებ, ჯამაათის წევრებმა ისაუბრონ: ნაცვლად აღვლენილი საამო ლოცვებისა, ბეით ქნესეთის დარბაზიდან ზოგჯერ რატომ, ვისი გამოისობით ისმის უსიამოვნო ხმაური?

მკითხველის საყურადღებოდ!

„მენორას“ საიტით მოსარგებლე მკითხველმა გვაცნობა, რომ ვერ ხერხდება საიტ WWW.MENORA.GE-ზე შესვლა — საქართველოსა, თუ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენი გაზეთის მკითხველს, წართმეოდა „მენორას“ ადრეული წლებისა, თუ ახალი ნომრების გაცნობის საშუალება.

მდგომარეობის გამოსწორების ცდისას, აღმოჩნდა, რომ საიტი WWW.MENORA.GE თავდასხმის ობიექტი ყოფილა — იგი დააზიანეს იმისათვის, რომ მკითხველს აღარ ჰქონდეს გაზეთის წაკითხვის საშუალება.

„მენორას“ მკითხველისათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ ვინ, საქართველოს ებრაელობის რომელი „გამოჩენილი“ წევრი გახლავთ „მენორასადმი“ მტრულად განწყობილი, ვინ ცდილობს სიმართლე არ მივიდეს მკითხველამდე.

სასამართლოსთვის არ მიგვიმართავს. დღეს მთავარია, რომ უახლოეს დღეებში აღადგენს საიტი ფუნქციონირებას — შეგიძლიათ გაეცნოთ „მენორას“ ადრეული წლებისა, თუ ახალ ნომრებს. დანარჩენს კი...

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მერაბ სარელს

დიდად პატივცემულო ბატონო მერაბ,

გვაქვს დიდი პატივი და ამავე დროს დიდი სიამოვნება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით მოგილოცოთ თქვენ, მსოფლიოში სახელგანთქმულ მკურნალს და მეცნიერს თქვენი შესანიშნავი საიუბილეო თარიღი!

თქვენ, როგორც შიბას (ტელ აშომერი) სამედიცინო ცენტრის წამყვანმა ექიმმა და მკვლევარმა მრავალ ავადმყოფს დაუბრუნეთ ყველაზე ძვირფასი, რაც მას გააჩნდა - სიცოცხლე.

თქვენი მოღვაწეობის აღიარების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ის, რომ თქვენი სახელი ეწოდა ისრაელში შექმნილ შესანიშნავ პარკს- „მერაბ სარელის პარკი“.

თქვენი უაღრესად დაკავებული პროფესიული მოღვაწეობის მიუხედავად, ახერხებთ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. განსაკუთრებით დასაფასებელია ჩვენთვის, რომ თქვენ დიდი წარმატებით და ნაყოფიერად ხელმძღვანელობთ(როგორც თანათავმჯდომარე) ქართველი ებრაელების მსოფლიო კონგრესს!

როგორც მეცნიერ-მკვლევარმა თქვენ მიიღეთ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და დიდი ჯილდო - თქვენი შრომები მსოფლიომ აღიარა, როგორც საუკეთესოთა შორის ყველაზე საუკეთესო, რაც მოხდა ქირურგების მსოფლიო კონგრესზე თელ-ავივში. გილოცავთ ამ უაღრესად შესანიშნავ მიღწევას და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადოება მომავალშიც გახდება თქვენი უაღრესად მნიშვნელოვანი მოღვაწეობის კიდევ უფრო დიდი და შთამბეჭდავი წარმატებების მოწმე.

ბატონო მერაბ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ამაყობს, რომ თქვენ ბრძანდებით მისი უცხოელი წევრი. გისურვებთ მომავალშიც ასეთივე დაუცხრომელ და წარმატებულ სამეცნიერო და სამკურნალო მოღვაწეობას. მოხარული ვიქნებით, თუ გამონახავთ საშუალებას და დროს, რათა გვესტუმროთ თბილისში, აკადემიაში და გაგვიზიაროთ თქვენი მიმდინარე სამეცნიერო მოღვაწეობის საინტერესო და საზოგადოების კეთილდღეობისთვის უაღრესად საჭირო შედეგები!

იხარეთ და იბედნიერეთ, გელოდებით თბილისში!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი
გიორგი კვესიტაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
როინ მეტრეველი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი
ნოდარ მითაგვარია

(მერაბ სარელისადმი მილოცვები იხილეთ მე-4-5-6 გვერდებზე)

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

ბინიამინ ნეთანიაჰუ 70 წლისაა

21 ოქტომბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ბინიამინ ნეთანიაჰუმ დაბადების 70 საიუბილეო წელი იზეიმა. პრემიერ მინისტრმა ამ დღეს ბევრი მილოცვა მიიღო. ისრაელის საინფორმაციო საშუალებები იტყობინებან, რომ მას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაურეკა და დაბადების დღე მიულოცა.

ისრაელის მოსახლეობის ნახევარი წინააღმდეგია

საიტ **Walla**-ს დაკვეთით ჩატარებულმა ისრაელის მოსახლეობის გამოკითხვამ გამოარკვია, რომ მოსახლეობის ნახევარს არ სურს ეროვნული ერთიანობის მთავრობა (ეემ) ბინიამინ ნეთანიაჰუს მეთაურობით, ხოლო 42% მხარს უჭერს ეემ-ს დღევანდელი პრემიერ-მინისტრის მეთაურობით. ისრაელის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მოსახლეობას სურს ისრაელში იყოს ეემ — ასეთიაო „ხალხის ნება“ თუმცა, გამოკითხვამ დაგვანახა: მოსახლეობა წინააღმდეგია ბინიამინ ნეთანიაჰუს მეთაურობით ეე მთავრობისა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მძლავრობს მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების ამომრჩეველთა შორის — 68%. ამ იდეას მხარს უჭერს მხოლოდ 26%. მემარჯვენე ამომრჩეველთა შორის საწინააღმდეგო სურათია: 54% მხარს უჭერს ეემ ბინიამინ ნეთანიაჰუს მეთაურობით, 41% კი — წინააღმდეგია.

გამოკითხვა იმასაც შეეცადა, გაეგო, თუ როგორი იქნებოდა შედეგი მესამე არჩევნები დღეს რომ ჩატარდეს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ შედეგი თითქმის უცვლელი იქნება — პარტიები საპარლამენტო მანდატების იგივე რაოდენობას მიიღებენ, რაც სექტემბრის არჩევნებისას მიიღესო.

ელჩიც კი გამოიძახეს...

ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტროში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს პროტესტი განუცხადეს იმის გამო, რომ ბელორუსის ზოგიერთ მოქალაქეს დაუსაბუთებლად არ უშვებენ ამ სახელმწიფოში. მაგალითად: 7 ოქტომბერს ისრაელის საემიგრაციო სამსახურმა უკან გააბრუნა 11 ბელორუსი, ოქტომბრის პირველი ორი კვირის განმავლობაში ბელორუსის 18 მოქალაქეს უთხრეს უარი ისრაელში შესვლაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროტესტო განცხადებაში ნათქვამია: „ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, ისრაელს დასასვენებლად, ნაცნობ-მეგობრებთან, ნათესავებთან შესახვედრად რომ მიემგზავრებოდნენ, რამდენიმე დღეა თელ-ავივის აეროპორტის დროებით სამყოფელში გახლავან გამომწყვდეული და სამშობლოში გამომგზავრებას ელოდებიან. უარის თქმის ჩვენთვის ნაცნობ მიზეზთაგან არ არის წესების დარღვევის არცერთი შემთხვევა. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ღონისძიებებს, პატივს მივაგებთ ყოველი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას დასაბუთებულად შეზღუდოს უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეების საკუთარ ტერიტორიაზე შესვლა, მაგრამ ეს შემთხვევა უპრეცედენტოა.

ბელორუსი არ გახლავთ არალეგალური მიგრაციის დონორი ქვეყანა. ბელორუსი მსოფლიოში პირველ ადგილს იჭერს შენგენის ვიზის მიღების რაოდენობის მხრივ, რაც ჩვენი მოქალაქეების კანონმორჩილებას ადასტურებს. ასეთი პრობლემა ბელორუსის მოქალაქეებს არცერთი ქვეყნის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე არ შექმნიათ“

გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი...

7 ოქტომბერს სირიიდან ლტოლვილი დანამომარჯვებული არაბი შეძახელებით „დიდ არს ალაჰი!“ შევარდა ბერლინის ცენტრში მდებარე დიდ ებეთ ქნესეთში, რათა დაეხოცა მლოცველნი. როგორც გაზეთი „ludische Allgemeine“ იუწყება, არაბი ტერორისტი გაზის იარაღით იქნა შეჩერებული. იგი აღმოჩნდა 23 წლის დამასკელი ისლამისტი. იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა კრიმინალური წარსული, გათავისუფლებული იქნა(!) რაც გაოცების საგანი გახლავთ. თუმცა, ძიება გრძელდება.

ალბათ, ამგვარი გაუგებარი ლიბერალიზმით უნდა აიხსნას ის, რაც რამდენიმე დღეში მოხდა: ქ. ჰალეს სინაგოგას კვლავ ისლამისტი ტერორისტი დაესხა თავს. ტერორისტმა ებეთ ქნესეთში შესვლა ვერ მოახერხა, მაგრამ მის შესასვლელთან ორი ადამიანი დახოცა. ამ ტერაქტმა მთელი მსოფლიოს ებრაელობა ააფორიაქა. ბინიამინ ნეთენიაჰუ ტელეფონით ესაუბრა ანგელა მერკელს და სთხოვა გააძლიეროს გერმანიაში ებეთ ქნესეთების დაცვა. ანგელა მერკელი ეწვია ბერლინის ზემოთ ნახსენებ ებეთ ქნესეთს — პატივი მიაგო ქ.ჰალეში დაღუპული ორი ადამიანის ხსოვნას და დაესწრო საღამოს ლოცვას.

ანგელა მერკელის წინააღმდეგ

15 წლის წინათ დაწესდა სიონიზმის ფუძემდებლის თეოდორ ჰერცლის სახელობის პრემია.ეს პრემია გადაეცემათ იმ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც მხარს უჭერენ ისრაელის სახელმწიფოს. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ თეოდორ ჰერცლის პრემიით აჯილდოებენ გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს.

ამ გადაწყვეტილებამ გერმანიის ებრაული თემის უკმაყოფილება გამოიწვია. თემის წევრები აცხადებენ, რომ ანგელა მერკელი არ იმსახურებს თეოდორ ჰერცლის პრემიის მინიჭებას.

გერმანიის ებრაელობის დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი დამაჯერებლად გამოიხატა გერმანელი პუბლიცისტის ჰენრიკ ბროდერის სტატიაში „ანგელა მერკელი თეოდორ ჰერცლის პრემიას ღებულობს. რისთვის?“

ციტატა ჰენრიკ ბროდერის სტატიიდან:

„რამდენიმე დღის წინათ მივიღე წერილი. მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი რონალდ ლაუდერი, მიუნხენისა და ზემო ბავარიის ებრაული თემის პრეზიდენტი შარლოტა კნობლოხი „პატივს მდებენ“ მიმიწვიონ მისი აღმატებულების — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის, დოქტორ ანგელა მერკელისადმი თეოდორ ჰერცლის პრემიის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო ვახშამზე, რომელსაც დაესწრებიან გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდენტი დოქტორი იოზეფ შუსტერი, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტი...მოკლედ, ებრაულ სამყაროში მეტი გენერალია, ვიდრე ფეხოსანი...

რატომ, რისთვის უნდა დაჯილდოვდეს ანგელა მერკელი თეოდორ ჰერცლის პრემიით, რომელიც ამასწინათ როტშილდების ოჯახმა მიიღო? იმისთვის, რომ გაეროში მისი წარმომადგენელი ფაქტიურად ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ რეზოლუციებს აძლევს ხმას? თუ იმისთვის, რომ მან არა მხოლოდ გერმანიის საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანაზე თქვა უარი, სხვა სახელმწიფოებსაც მოუწოდა, არ გადადგან ასეთი ნაბიჯი.“

„მსოფლიო შაბათი“ — მილიონზე მეტი მონაწილე

15-16 ნოემბერს მსოფლიოს 1500 ქალაქში გაიმართება ყოველწლიური აქცია „მსოფლიო შაბათი“. ამ ღონისაძიებაში მილიონზე მეტი ებრაელი მიიღებს მონაწილეობას.

— წელს „მსოფლიო შაბათი“ ანტისემიტიზმის მზარდ სულისკვეთებასთან ბრძოლის ნიშნით მოეწყობა — განაცხადა „მსოფლიო შაბათის“ ჩატარების ინიციატორმა სამხრეთ აფრიკელმა რაბინმა უორენ გოლდშტეინმა — ეს იქნება ჩვენი მკვეთრი პასუხი იმ ბნელით მოცულ ანტისემიტურ მოვლენებზე, რაც ჰალეში, პიტსბურგში, პოუიეისა და სხვა იქალაქებში მოხდა (ეს ის ქალაქებია, რომლებშიც ტერორისტები სინაგოგებს თავს დაესხნენ და ადამიანები დახოცეს). ამით ჩვენ ვცდილობთ ვძლიოთ სიბნელე ადამიანთა სულებში — გავაძლიეროთ სინათლე, ჰუმანიზმი — ებრაული იდენტიფიკაცია.

„მსოფლიო შაბათი“ პირველად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ამ ქვეყნის მთავარი რაბინის — უორენ გოლდშტეინის წინადადებითა და მოწოდებით ჩატარდა . ეს იყო 2013 წელს.

რაბინი უორენ გოლდშტეინი ამბობს:

— ეს საერთაშორისო პროექტი მთელი მსოფლიოს ებრაელობას საშუალებას აძლევს ერთად აღასრულონ შაბათის აღთქმა. ეს არის წელიწადში ერთი შაბათი, როცა ებრაელობას ძალუძს ერთად აღასრულონ აღთქმა და ამის გაკეთება შეუძლია ყველას — ნებისმიერ ებრაელს. შაბათი საშუალებას გვაძლევს, დავივიწყოთ, თავი ავარიდოთ ყველაფერ იმას, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვაღელვებს, გვაშფოთებს. შაბათი გვაძლევს საშუალებას განვაახლოთ ჩვენი შინაგანი „მე“ და გვახსოვდეს მთავარი. შაბათი ეს არის ერთმანეთს დაშორებული დანაწევრებული საზოგადოებრიობის გამაერთიანებელი ძალა.

შარშან — 2018 წელს ამ აქციაში მონაწილეობა მიიღო 101 ქვეყნის ებრაელობამ „მსოფლიო შაბათის“ ფარგლებში ყოველ ქვეყანაში აცხობენ „ხალას“ , ტარდება ლოცვები, კონცერტები, გაერთიანებული სუფრა.

ამ აქციის მოსამზადებლად მობილიზებული გახლავთ 8 ათასი ორგანიზაცია, და ათეულ ათასობით მოხალისე.

კრისტობალ კოლონი

—

ქრისტოფერ კოლუმბი

რამდენიმე ისტორიულ ფაქტი ქრისტობალ კოლონისეპოქიდან.

კასტილიის დედოფალმა, იზაბელამ, იქორწინა არაგონის ტახტის მემკვიდრე- ფერდინანდზე. ამ სამეფო წყვილმა ესპანეთში გააერთიანა პირინეის დიდი სახელმწიფოები და პარალელურად შექმნა ინკვიზიცია, რომელიც საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდა. კათოლიკური ეკლესიის მიერ განადგურდა ყველა „ურჯულო“, ანუ არაქრისტიანი,მათ შორის მუსლიმები, მავრები, ებრაელები. ასობით ათასმა ებრაელმა დატოვა პირინეის ნახევარკუნძული. ბევრი ვერ გადაურჩა ინკვიზიციის კოცონს, ათობით ათასი ებრაელი ძალდატანებით გააქრისტიანეს. მათ „მარანები“ ეწოდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დონეზე მოხდა კათოლიკური ეკლესიის აღზევება, და ქვეყნის მთავარ რელიგიად შეირაცხა, „ახალი ქრისტიანები“ მაინც არავის უყვარდა. ისინი ატარებდნენ გულზე ჯვრებს და ეკლესიებში ჩნდებოდნენ ვითომდა სალოცავად სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, და მაინც ებრაელებად რჩებოდნენ. უამრავი „მონათლული ებრაელი“ პორტუგალიაში გადასახლდა, მაგრამ არც იქ ეწიათ კარგი ბედი.

ასეთი „გაქრისტიანებული“ ებრაელის ოჯახში დაიბადა კრისტობალი დაახლოებით 1451 წელს. „კოლონი“-მისი გვარი მომდინარეობს იმ ქალაქის სახელწოდებიდან, სადაც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები.

მაშ ასე, კრისტობალ კოლონი გახლავთ ყველასათვის კარგად ცნობილი ექსპედიტორი, მეზღვაური-მკვლევარი, ქრისტეფორე კოლუმბის სახელით ცნობილი!

ვინ იყო იგი სინამდვილეში? იტალიელი თუ ესპანელი, პორტუგალიელი თუ უბრალოდ ებრაელი? რას დაეძებდა თავის ექსპედიციებში? იტალიელები თვლიან, რომ ეს უდიდესი ადამიანი გენუაში დაიბადა. მისი სახელი იტალიურად ჟღერს კრისტოფერ კოლომბუს. ამის დამადასტურებელი არცერთი დოკუმენტი მათ არ მოეპოვებათ. კრისტობალმა საგულდაგულოდ დაფარა საკუთარი წარმოშობის შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია, რათა არცერთ სახელმწიფოს არ წამოეყენებინა რაიმე მის წინააღმდეგ. კრისტობალი არავის ამბობდა საკუთარი ბავშვობის, ან ახალგაზრდობის შესახებ. საკუთარ შვილსაც კი! ერნანდო კოლონი, მისი ვაჟი — იტალიაში გაემგზავრა, რათა წინაპრების შესახებ რაიმე მოეძია, მაგრამ ვერაფერს ვერ მიაგნო.

კოლონი, გახლავთ ქალაქი კატალონიაში, რომლის დედაქალაქიცაა ბარსელონა. იქ დღემდე დგას ძველი — არისტოკრატთა სახლი, რომელიც კოლონებს ეკუთვნოდათ ოდესღაც. ისინი იყვნენ მდიდარი ბანკირები, ვაჭრები. მაშ რატომ მალავდა საკუთარ წარმომავლობას? ამბობენ, თითქოს ზღვის ყაჩაღი იყო, რომელიც ესპანეთის კარის წინააღმდეგ იბრძოდა. ამიტომ ეშინოდა, რომ სახელმწიფო ღალატის ბრალდება არ წარედგინათ მისთვის. მთავარი მიზეზი მისი გასაიდუმლოებული ცხოვრებისა კი იყო ებრაული ფესვები...

მე-15 საუკუნის დასასრულს ებრაელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა. ყველა ეჭვმიტანილი ცოცხლად იწვებოდა ესპანური ინკვიზიციის ცეცხლზე.

კოლუმბის ჩანაწერებში ვხვდებით მეტად საინტერესო ინფორმაციას, იმის შესახებ, რომ მას სურდა მოგზაურობის დროს შეგროვილი განძით აეშენებინა შლომო ჰა'მელეხის ტაძარი, რაც ნამდვილად არანაირად არ წააგავს მისი „ქრისტიანული მისიონერის“ სამომავლო გეგმებს, როგორც ამას ქრისტიანული ესპანეთი ან იტალია მიიჩნევენ. კრისტობელი არასოდეს წერდა წერილებს იტალიურად. ნათესავ-ახლობლებთან მიმოწერას ესპანურად ახორციელებდა. ლინგვისტიკური ცდების შემდეგ, რომელიც კოლუმბის ხელნაწერებზე ჩატარდა, დადგინდა რომ, მას კატალონიური განათლებული არისტოკრატის კალიგრაფია გააჩნია.

სკოლის სახელმძღვანელო წიგნების მიხედვით კოლუმბი ღარიბი ოჯახიდანაა წარმოშობით, რომელმაც მოგვიანებით განთლება მიიღო უნივერსიტეტში. არც ეს ფაქტი დადასტუდა, ვინაიდან ამ უნივერსიტეტის ჩანაწარებში მკვლევარებმა ვერ მიაგნეს ქრისტეფორეს სახელს. გარდა ამისა, თვით კოლუმბის ჩანაწერებში საკმაოდ დიდი ინფორმაცია მოიპოვება იმის შესახებ, რომ მან შესანიშნავად იცოდა კარტოგრაფია, კოსმოგრაფია, გეოგრაფია, გეომეტრია და ა.შ. იქვე გვხვდება ამონაწერები სხვადასხვა სამეცნიერო და სხვა ლიტერატურიდან არა მარტო ესპანურ ენაზე, არამედ ძველბერძნულად, პორტუგალიურად, ლათინურად, ძველ-ებრაულად. ის მშვენივრად ფლობდა იტალიურსაც. ამ ენების შესწავლა კი მხოლოდ არისტოკრატების ხელმისაწვდომი იყო. მისთვის კარგად იყო ცნობილი ნავიგატორობა, გააჩნდა უდიდესი გამოცდილება მეზღვაურისა. ასეთი განათლება ღარიბი ოჯახის შთამომავალს არანაირად არ ექნებოდა.

კოლუმბმა ცოლად შეირთო არისტოკრატის ასული, ბეატრის ენრიკეს დე-არანა, რომელიც ასევე ეკუთვნოდა „მარანების“ ოჯახს, ანუ „გაქრისტიანებულ ებრაელებს“. კოლუმბის ვაჟი, ფერნანდო, წერდა, რომ მამამისი დავიდ ჰა'მელეხის შთამომავალია: „მის ძარღვებში იერუშალაიმის სახლის სამეფო სისხლი ჩქეფდა“... ჩაწერა მამის ბიოგრაფიაში.

ესპანელი მკვლევარი, გარსიე დე ლა'რისი წერს, რომ კოლონის დედას ერქვა სუსანა ფონტეროზას, რომელიც აგრეთვე „მარანების“ ოჯახს მიეკუთვნებოდა.

ჯერალდ ფაინშტეინი აღნიშნავს, რომ კრისტობალს გააჩნდა მეტად უცნაური ჩვევა, არც თუ ისე იშვიათად ახსენებდა ებრაული კალენდრით დაწესებულ სადღესასწაულო თარიღებს. იმის მაგივრად რომ გამოეთქვა „ქრისტიანული წელთაღრიცხვით“, ამბობდა „ჩვენი წეთაღრიცხვით.“ აგრეთვე საუბარში „წმინდა ტაძრის აოხრების“ ნაცვლად ამბობდა „იერუშალაიმის სახლის დაცემას“, ხელნაწერებში თანახიდან აქვს გამოყენებული გამოთქმა „მეორე სახლი“ და არა „მეორე ტაძარი“, ანუ, როგორც თალმუდშია ნახსენები. ის აწარმოებდა დღიურს ებრაულ კალენდართან შეთავსებით.

1492-1493 წლებში გავიდა კრისტობალი პირველ ექსპედიციაში. მეფისადმი გაგზავნილ თავის წერილში იგი ახსენებს, რომ ეს არის ებრაელთა ესპანეთიდან საბოლოოდ განდევნის თარიღი“. ზღვაში გასვლა დანიშნული იყო 2 აგვისტოს. მან კი გასვლა გაუგებარი მიზეზების გამო 3 აგვისტოსათვის გადასდო. ებრაული კალენდრით 2 აგვისტო 1492 წელს 9ავი ამთხვეოდა. ჩვენთვის, ებრაელებისთვის, უკვე გასაგებია ეს მიზეზი, კოლონს სურდა უბედურების თავიდან აცილება, რომლებიც ებრაელებს ამ თარიღთან ჰქონდათ მუდამ დაკავშირებული...

ერთ-ერთ მის ხელნაწერში ვკითხულობთ: „რაც უნდათ ის დამიძახონ. დავიდი, უჭკვიანესი მეფე, გამჩ-მა მწყემსობიდან მოამაღლა, მე კი, მის ღმერთს ვემსახურები, რომელმაც ის მეფედ მოამაღლა“.

კოლუმბის მიერ დიეგოსადმი (შვილისადმი) მიწერილ წერილებში ვხვდებით ებრაულ ასოთა შეთანხმებას „ב ה“, რაც შემოკლებაა ორი სიტყვისა „ბეეზრათ ჰა'შემ“, ანუ „გამჩ-ის დახმარებით“.

სალვადორ დე'მადარიას მტკიცებით, კოლუმბის მფარველები იყვნენ: დიეგო დე'დეზა, მეტად განათლებული, ებრაულ რწმენაზე აღზრდილი, გენერალური ინკვიზიტორი მარანების ოჯახიდან; ავრამ ზაკუტო — ასტრონომი, რომლის შრომებიც უხვად გამოიყენა ექსპედიციის დროს; დონ ისაკ აბარბანელი და ესპანეთის სამეფო კარის უკანასკნელი ებრაელი ფინანსთა მინისტრი; ავრაამ უფროსი, კასტილიის სამეფოს ბოლო რაბინი, ლუის დე'სანტანგელი, მეფის კანცლერი და სამეფო მეურნეობის ზედამხედველი; ხუან დე'კოლომა, მეფის მდივანი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ებრაული კლანის-დე ლა'კაბალიერას ასული; აგრეთვე ცნობილი პორტუგალიელი ებრაელი სწავლული, ასტრონომი, იოსეფ დიეგო მენდეს ვიზინხო; ავრაამ სენიორი, კასტილიის მთავარი ებრაელთა მოსამართლე და ა.შ. სწორედ ამ ხალხმა დააფინანსა კოლუმბის ექსპედიციები. ეს თანხა 1.400.000-მარავედის წარმოადგენდა!

რისთვის გაიღეს ებრაელებმა ესოდენ დიდი თანხა? უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფული ანდეს კრისტობალ კოლონს, ებრაელ არისტოკრატს, და არა იტალიელ ღარიბ „კათოლიკ-მისიონერს“.

კრისტობალ კოლონის ბოლო ჩანაწერში „წინასწარმეტყველებათა წიგნი“, მოყვანილია ექსპედიციის ნამდვილი მიზანი: „ვინ მისცემს ციონიდან ისრაელს ხსნას?“ (მოყვანილია თეჰილიმის მე-14 საგალობლიდან ფრაზა). ანუ, მარანმა ებრაელებმა დაისახეს მისტიკური მიზანი, მოეძებნათ ათი დაკარგული ისრაელის შტო, რომელიც ზღაპრულ ქვეყანაში მოივანებს. ამ მიზნით კოლუმბის ექსპედიციაში იყო აგრეთვე ებრაელი თარჯიმანი, ლუისა დე'ტორესა.

„რაში მჭირდებოდა მათემატიკის, გეოგრაფიული რუქების ცოდნა ინდოეთის მოსაძებნად?“ წერს კრისტობალ კოლონი.-„მე ვასრულებდი იეშაიაჰუს წინასწარმეტყველებას: „ნუ გეშინია, ვინაიდან შენთან ვარ! აღმოსავლეთიდან მოვიყვან შენს თესლს და დასავლეთიდან მოგკრებ, ვეტყვი ჩრდილოეთს „დამიბრუნე!“ და სამხრეთს „ნუ აყოვნებ !“ მოვიყვან ჩემს ვაჟეიშვილებს შორიდან და ჩემს ასულებს ქვეყნის კიდიდან“ ...

ებრაელთა ძებნაში მან ბევრი მატერიკები აღმოაჩინა... მიზანს კი ვერ მიაღწია...

კოლუმბმა დატოვა ანდერძი, რომელის თანახმადაც მისი ქონების 1/10 ნაწილი ღარიბებს უნდა მოხმარებოდა გამცემის ვინაობის გამხელის გარეშე. აგრეთვე ნახევარი ვერცხლის ღირებულების მარკა(მახაცით ჰა'შეკელ) მიეცეს ებრაელს, რომელიც ლისაბონის გეტტოს ჭიშკართან ზის. ესეც თორის მიცვებია ებრაელთათვის დაწესებული!

ჩვენს დღეებში სრულდება იეშაიაჰუს წინასწარმეტყველებანი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ისრაელის ხაიმ შიბას სახ. სამედიცინო ცენტრის ქირურგიული კლინიკის უფროსი ექიმი, პროფესორი

მერაბ სარელი-იზრაელაშვილი — 70

მერაბ სარელი — ვინ არის იგი?

- დაიბადა 1949 წლის 18 ოქტომბერს თბილისში, ომგამოვლილი იოსებ იზრაელაშვილისა და სულიკო აჯიაშვილის ოჯახში,
- 1966 წ. ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 39-ე საშუალო სკოლა,
- 1973 წ. წარჩინებით — წითელ დიპლომზე დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი,
- 1973 წ. კონკურსით ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიის ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ასპირანტად,
- 1976წ. დაინიშნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის ასისტენტის თანამდებობაზე,
- 1977 წ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.
- 1978 წ. გადაყვანილი იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე,
- 1984წ. კონკურსის წესით არჩეული იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტის თანამდებობაზე,
- 1986 წ. მოსკოვის ონკოლოგთა სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი,
- 1987წ. კონკურსის წესით არჩეული იქნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე,
- 1988წ. მოსკოვის საკავშირო საატესტაციო კომისიამ მიანიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება,
- 1988წ საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის აბდომინალური და პროქტოლოგიური განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელია,
- 1990წ. თელ-ავივის უნივერსიტეტის მიწვევით ხ.შიბას სახ. სამედიცინო ცენტრის ქირურგიის განყოფილებაში ეწევა საკვალიფიკაციო მუშაობას ,
- 1992წ. თელ-ავივის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორის სტატუსით მუშაობას იწყებს ზოგადი და ონკოლოგიური ქირურგიის განყოფილებაში,
- 2000წ. საფრანგეთში, სტრასბურგში კვალიფიკაციას გადის ლაპარასკოპიულ ქირურგიაში,
- 2004წ. აირჩიეს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარედ,
- 2007წ. ზიქრონ იაკობში გაიხსნა მერაბ სარელის სახელობის ტყე-პარკი,
- 2010 წ. აირჩიეს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარედ,
- 2011 წ. ოქტომბერში მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება,
- 2011 წ. მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება,
- 2012 წ. საფრანგეთში, ვერსალში კვალიფიკაციას გადის მსხვილი ნაწლავის ლაპარასკოპიული ქირურგიის განხრით,
- 2015 წ.მსოფლიოს ქირურგთა მეხუთე კონგრესზე მისი მოხსენება პირველ საპრიზო ადგილს იმსახურებს,
- პროფესორი მ. სარელი გახლავთ ავტორი 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის და 5 მონოგრაფიისა,
- მ. სარელი გახლავთ საავტორო უფლებით დადასტურებული რიგ გამოგონებათა და ერთი სასწავლო-სამეცნიერო მოკლემეტრაჟიანი ფილმის ავტორი.
- მ.სარელი გახლავთ რიგი ქვეყნების სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მათს შორის ინტერნაციონალური გასტროქირურგიული კლუბის (ამსტერდამი) და ღვიძლის ქირურგიის მსოფლიო ასოციაციის (სტოკჰოლმი) ნამდვილი წევრი.

* * *

ისრაელის ხაიმ შიბას სახ.სამედიცინო ცენტრის ზოგადი და ონკოლოგიური ქირურგიის საუნივერსიტეტო კლინიკის კოლექტივი ულოცავს ისრაელისა და საქართველოს სამედიცინო ინტელიგენციის საამაყო წარმომადგენელს, ცნობილ ქირურგსა და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ მერაბ სარელს დაბადების 70-ე წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას, მისთვის ჩვეულ ვაჟკაცურ შემართებას და დასახული შემოქმედებითი გეგმების განხორციელებას.

ავირამ ნისანი
კლინიკის ხელმძღვანელი, ისრაელის ონკოქირურგიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

* * *

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესურის, სტუდენტების, მკვლევარების, რეზიდენტების და ადმინისტრაციის სახელით, გულწრფელი პატივისცემით მივესალმებით ბატონ მარომ სარელს (მერაბ იზრაელაშვილს) და ვუერთდებით მილოცვებს მისი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით!

70 წელი ძალზე საინტერესო ასაკია - დაგროვილია საკმარისი ცხოვრებისეული თუ პროფესიული გამოცდილება, თუ გნებავთ - სიბრძნე; ეს კი ახალგაზრდულ შემართებასთან და მომავლისკენ მიმართულ შემოქმედებით ხედვასთან შერწყმით იმგვარი მოცემულობაა, რასაც ვერაფერი დაუდგება წინ დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე. ბატონი მარომისთვის კი ეს მიზანი ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის სულიერ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვაა ყველგან, სადაც არ უნდა იყოს იგი.

მართლაც რომ, ჭეშმარიტ მეგობრობას და გულწრფელ სიყვარულს არ აქვს საზღვარი. ბატონი მერაბის საქმიანობა ბოლო თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ამის უტყუარი დასტურია.

ბატონი მარომი - ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად - უნივერსიტეტის) კურსდამთავრებულია. იგი მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჯერ ტოპოგრაფიული ანატომიის და ოპერაციული ქირურგიის (1973-1978წწ.), შემდგომ - ონკოლოგიის კათედრაზე (1978-1993 წწ), ბრძანდებოდა რა ამ კათედრის გამგე.

1992 წლის შემდგომ ბატონი მერაბი ისრაელში მოღვაწეობს, თელ-ჰაშომერის ქირურგიულ განყოფილებაში და, ამავე დროს,ხელმძღვანელობს ქირურგიულ კლინიკას რიშონ-ლეციონში.

ბატონი მერაბი ავტორიტეტული, მოთხოვნადი და საკმაოდ დაკავებული მკვლევარი და ექიმია ისრაელში, მაგრამ, საბედნიეროდ, მის გულსა და გონებაში მშობლიურ სამედიცინო უნივერსიტეტს ღირსეული ადგილი უკავია. სწორედ მისი ინიციატივით და უშურველი ამაგით მიიღო საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ისრაელში „იადვაშემ“-ის („ხსოვნა და სახელი“) მუზეუმის მსოფლიოს სასახელო პიროვნებათა ხეივანს საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების პატრიარქის, სანიმუშო მეცნიერისა და პედაგოგის, ბატონი მერაბის მასწავლებლის, პროფესორ შალვა თოიძის სახელობის ხე შემატებოდა. ეს ერთ-ერთი, მაგრამ, ვფიქრობ, საკმაოდ ნიშანდობლივი გამოვლინებაა მერაბ სარელის დამოკიდებულებისა მისი ფესვების, მისი „ალმა მატერ“-ის მიმართ.

საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, საზოგადოდ, საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა Alumni-ს, როგორც უნივერსიტეტის მხარდამჭერ სოლიდარულ აქტივობას. მარომ სარელი მეტად ღირებული და სამაგალითო Alumni-ია. რითაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დამსახურებულად ამაყობს; ბატონი მარომი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. რამდენიმე წლის წინათ კი იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად (აკადემიკოსად) იქნა არჩეული, რაც მისი საქმიანი და პიროვნული დამსახურებების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აღიარებაა.

ბატონო მერაბ,

თქვენი შემართულობა და შრომისუნარიანობა სამაგალითოა მომავალი თაობისათვის; თქვენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ჭეშმარიტი მეგობარი და გულშემატკივარი ბრძანდებით. ჩვენ ძალიან ვაფასებთ და ვუფრთხილდებით ამ მეგობრობას. დარწმუნებული ვართ, ჩვენ ერთად კიდევ ბევრ გამოწვევას დავძლევთ უმაღლესი სამედიცინო განათლების და სამედიცინო მეცნიერების განვითარების საკეთილდღეოდ!

პატივისცემით,
საუკეთესო სურვილებით და თანაშრომლობისთვის მზადყოფნით,
პროფესორი
ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

* * *

უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნიდან ისრაელში ამოსული და დღეს აქ მოღვაწე ექიმები დიდი ავტორიტეტითა და მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობით გამოირჩევიან. ამათგან არაერთს სახელმწიფოს სამედიცინი სისტემაში წამყვანი პოზიცია უჭირავს. ისინი პაციენტთა დიდი სიყვარულით არიან მოსილნი. ზოგ ამათგანს ეთაყვანებიან კიდეც.

ამგვარ მკურნალთაგან პირველ რიგში ასახელებენ ჩემს მეგობარს — პროფესორ მერაბ სარელს, რომელიც არა მხოლოდ ისრაელში, მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილ სპეციალისტად არის აღიარებული და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ყოველდღიურად ხელშესახებ წარმატებას აღწევს.

მერაბ სარელი გახლავთ 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამათგან ხუთი მონოგრაფია, სასწავლო-სამეცნიერო მოკლემეტრაჟიანი კინოფილმი და რამდენიმე საავტორო მოწმობა დაპატენტებული გახლავთ.

პროფესორი მერაბ სარელი მთელი რიგი სახელმწიფოების სამეცნიერო საზოგადოებების წევრია. ამათ შორის კი გახლავთ ისეთი ცნობილი ინსტიტუციები, როგორიცაა ინტერნაციონალური გასტრო- ქირურგიული კლუბი (ამსტერდამი) ღვიძლის ქირურგიის მსოფლიო ასოციაციის ნამდვილი წევრი (სტოკჰოლმი)

პროფესორმა მერაბ სარელმა წარმატებით შეასრულა ათასობით ურთულესი ოპერაცია საყლაპავზე, კუჭზე, ნაწლავებზე, რეტროპერიტონეალური მიდამოს ორგანოებზე, ცალკე შეფასებას

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

0108 Tbilisi, Georgia
52 Rustaveli ave.
Office of The President
Tel.:(+995 32) 299 88 91
Fax/Tel.: (+995 32) 299 88 23
E-mail: t.gamkrelidze@science.org.ge

0108 თბილისი,
რუსთაველის პროსპ. 52
ტელ.: (+995 32) 299 88 91;
ფაქსი: (+995 32) 299 88 23
ელ. ფოსტა: t.gamkrelidze@science.org.ge

ისრაელის ხაიმ შიბას სამედიცინო ცენტრის
ონკო-ქირურგიული განყოფილების
პროფესორს მ.სარელს (იზრაელაშვილს)

დიდად პატივცემულო ბატონო მერაბ,

ნება მიბოძეთ გამოვხატო თქვენდამი ჩემი ღრმა პატივისცემა და მოგილოცოთ თქვენ, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელ წევრად არჩევა; ეს ჩვენი აკადემიისათვის დიდი პატივია.

მოხარულნი ვიქნებით, თუ თქვენ ჩამობრძანდებით თბილისში და ეწვევით ჩვენს აკადემიას, რათა გადმოგცეთ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრის დიპლომი“ (იხ. აკადემიის საიტი: **http://www.science.org.ge).**

ღრმა პატივისცემით,

აკადემიკოსი თ.გამყრელიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი

ისრაელის პრეზიდენტთან — რეუვენ რივლინთან

მთელი სულითა და გულით გილოცავთ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ბედნიერ, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრა.

* * *

ქართველი და ებრაელი ხალხის სახელოვან შვილს, ბრწყინვალე ექიმს, პედაგოგსა და მეცნიერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) ონკოლოგიის კათედრის ყოფილ გამგეს, ამჟამად თელ–ავივის ხაიმ შიბას სამედიცინო ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მერაბ სარელს (იზრაელაშვილს) დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

გილოცავთ ბატონო მერაბ!

ბატონი მერაბი დაიბადა ქალაქ თბილისში, სოლოლაკში, მოსამსახურის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ — 1973წ. ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე ასპირანტურაში, რომლის დამთავრებისთანავე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, დისერტაცია შეეხებოდა მის მიერ შემუშავებული ღვიძლის რეზექციის ორიგინალურ მეთოდს.

ჩვენს მეგობრობას და თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლადჩამოყალიბებულ ონკოლოგიის კათედრაზე, სადაც ბატონი მერაბი და ჩვენ მრავალი წლის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით კლინიკური და სხვადასხვა რანგის პედაგოგიურ თანამდებობებზე. დოცენტის თანამდებობაზე არჩევის შემდეგ, იგი წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას და ინიშნება ონკოლოგიის კათედრის გამგედ.

კათედრაზე მუშაობის პერიოდში ნათლად გამოვლინდა ბატონი მერაბის სამეცნიერო, პედაგოგიური და კლინიკური პოტენციალი. მისი ინიციატივით კლინიკაში დაინერგა ღვიძლის მასიური რეზექციის ტექნიკური ვარიანტები ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების დროს. ეს იყო ახალი მიმართულება კლინიკური ქირურგიისა და ონკოლოგიის დარგში. ბატონი მერაბის მიერ შესრულებულია ურთულესი ოპერაციები მუცლის ღრუს სხვადასხვა ორგანოებზე. განუზომელია მისი დამსახურება კლინიკური ჰეპატოლოგიისა და პანკრეატო–ბილიარული ზონის ქირურგიაში. იგი გვევლინება საქართველოში ღვიძლის მასიური ანატომიური ქირურგიული რეზექციის ფუძემდებლად ამ ორგანოს პირველადი და მეტასტაზური სიმსივნეების დროს.

განუზომელია ბატონი მერაბის ამაგი პრაქტიკულ ონკოლოგიაში. მისმა მარჯვენამ მრავალ ადამიანს შეუნარჩუნა და გაუხანგრძლივა სიცოცხლე, უამრავ ოჯახს აჩუქა ბედნიერება და სიხარული.

ბატონი მერაბი შეუდარებელი ლექტორი და პედაგოგია. მრავალი წლის განმავლობაში ონკოლოგიის კათედრაზე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, შემუშავებულია მოითხოვს მისი დამსახურება კლინიკური ჰეპატოლოგიისა და პანკრეატო ბილეარული ზონის ქირურგიაში

ჩვენთვის საამაყოა აღვნიშნოთ, რომ პროფესორმა მერაბ სარელმა მონოგრაფია „ღვიძლზე ოპერაციები მისი სისხლის მიმოქცევიდან დროებითი გათიშვისა და ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში“ ჯერ კიდევ 1983 წელს გამოსცა. იმხანად ამ ნაშრომს მსოფლიოს სამედიცინო ლიტერატურაში ანალოგი არ ჰქონდა. მერაბ სარელის ამ ნაშრომში მსოფლიოში პირველად განზოგადდა მონაცემები ღვიძლში სისხლის მიმოქცევის დროებითი ბლოკირების პირობებში. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მონოგრაფიის გამოცემიდან 10 წლის შემდეგ პროფესორი გ. ბენ-არი და პროფესორი მ.სარელი ისრაელის ქირურგიულ კლინიკაში ერთ-ერთი პირველნი ასრულებენ ღვიძლის ფერფუზიას მისი სისხლის მიმოქცევიდან სრული გათიშვისა და ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პირობებში.

მაინც რა არის პროფესორ მ. სარელის მეცნიერული, პედაგოგიური, თუ პრაქტიკული მოღვაწეობის წარმატების მიზეზი, რა გახდა საფუძველი მისი ასე სწრაფი ინტეგრაციისა ისრაელის სამეცნიერო საზოგადოებაში?

უწინარესად მისი მაღალი პროფესიონალიზმი და დიდი შრომისმოყვარეობა, ე.ი. ის, რაც ნებისმიერ ექიმს წინ მიუძღვის და რისი წყალობითაც ის ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს კოლეგებს შორის.

ჩემო ძმაო მერაბ,

ძალიან მიხარია შენი 70 წლის იუბილე, რამეთუ შენი ცხოვრებისეული კრედო იყო და არის ადამიანებზე ზრუნვა.

შენი გზა მარწმუნებს: მხოლოდ ცხოვრების კაცურად განვლილ გზას ძალუძს პიროვნებას მოუტანოს საყოველთაო აღიარება, ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

დღეს შენ ყველაფერ ამას უხვად იმკი.

შენი ისრაელელი მეგობრების სახელით

შლომო აელონი
ისრაელის ხაიმ შიბას სახ. სამედიცინო ცენტრის ქირურგიული კლინიკის უფროსი ექიმი.

* * *

დიდად პატივცემულო ბატონო მერაბ,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის თანამშრომლები მოგესალმებით და მხურვალედ გილოცავთ უაღრესად შინაარსიანი ცხოვრებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის შესანიშნავ თარიღს.

თქვენ ეკუთვნით ქართველი და ებრაელი ხალხის სახელოვან შვილთა იმ პლეადას, რომელიც ირაკლი აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ორთავ ქვეყნის ტრფობა აკრავთ გულის ფიცარზე და დიდი რუდუნებთ იღწვით საქართველოსა და ისრაელის ბედნიერი მომავლისათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრა განსაკუთრებით ამაყობს, იმით, რომ თქვენ ჩვენი კათედრის აღზრდილი ხართ. ვამაყობთ, რომ სამეცნიერო ასპარეზზე გამოსასვლელად, პროფესორ შალვა თოიძის ხელმძღვანელობით, ჩვენს კათედრაზე აიდგით ფეხი. თქვენ აქ ჩამოყალიბდით, როგორც მეცნიერი, მკვლევარი და პედაგოგი.

წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე მრავალი მონოგრაფიისა და შრომის ავტორი, გამორჩეული დასტაქარი, ღირსეული მეუღლე და მზრუნველი მამა — აი, არასრული სია იმ თვისებებისა, რომლებითაც თქვენი პიროვნება ხასიათდება.

ბატონო მერაბ, გავიდა წლები, მაგრამ არ განელებულა ჩვენი სიყვარული პირადად თქვენი, თქვენი ოჯახის მიმართ. თქვენ ჩვენი კათედრის განუყოფელი ნაწილი ხართ და ასეთად დარჩებით მარად. ამ ნათელ დღეებში განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ თქვენი განუყრელი თანამგზავრის, ქ-ნი რუსუდანის დიდი ღვაწლი, რომელმაც ოჯახური, მეგობრული, ადამიანური, მეცნიერული და პროფესიული ასპარეზისათვის იდეალური სამყარო შეგიქმნათ.

გვიყვარს და ვამაყობთ თქვენი ზაზას წარმატებებით.

ყოველ კაცს, დიდსა თუ პატარას, თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს და ისინი სნეულის დამხმარესა და გადამრჩენელს დიდი მადლიერებით უნათებენ წუთისოფლის არცთუ იოლად გასავლელ გზას.

თქვენს მიერ გადარჩენილი ადამიანების მფარველი ანგელოზები გფარავდეთ მუდამ, ბატონო მერაბ!

სასწავლო პროგრამები და მეთოდური სახელმძღვანელოები ექიმ–ონკოლოგებისა და სტუდენტებისათვის.

1992 წელს ბატონი მერაბი სამუშაოდ მიიწვიეს თელ–ავივის ხაიმ შიბას სახელობის სამედიცინო ცენტრის ზოგადი ქირურგიის და ონკოლოგიის განყოფილების უფროსი ექიმის თანამდებობაზე, ხოლო 1995 წლიდან ხელმძღვანელობს კუფათ ხოლიმ „მაქაბის“ ზოგადი ქირურგიის კლინიკას ქ. რიშონ ლეციონში, სადაც დღემდე წარმატებით მოღვაწეობს.

ბატონი მერაბი ბევრს იღწვის საქართველოს საკეთილდღეოდ, — ყოველთვის მზადაა სათანადო დახმარება აღმოუჩინოს ქართველ თანამემამულეებს. საქართველოსთვის მძიმე წლებში მისი ინიციატივით თბილისისა და ქუთაისის მოსახლეობას გაუწია ჰუმანიტარული დახმარება. იგი არის ერთ–ერთი ორგანიზატორი ტრადიციად ქცეული ყოველწლიური ღონისძიებისა „საქართველოს დღეები ისრაელში“.

ბატონ მერაბ იზრაელაშვილის ჯილდოთა შორის აღსანიშნავია ის, რომ არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ. ეს ის შემთხვევაა, როცა თბილისის საპატიო მოქალაქეობა პიროვნებას მიენიჭა საქართველოსა და თბილისისადმი დიდი დამსახურების გამო.

სასიხარულოა, რომ ბატონი მერაბი თავის 70 წლის იუბილეს ჯანმაგარი და ენერგიით სავსე ხვდება.

ერთხელ კიდევ გილოცავთ, ბატონო მერაბ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, დიდხანს სიცოცხლეს, ხანგრძლივ შემოქმედებით საქმიანობას ქართველი და ებრაელი ერის საკეთილდღეოდ.

პროფესორი ილია ბაძრაძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სამხედრო-სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი,

პროფესორი რემა ღვამიჩავა
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თსსუ-ის ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, საქართველოს კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოების ხელმძღვანელი, ჟურნალ „კლინიკური ონკოლოგიის“ მთავარი რედაქტორი,

მიხეილ შავდია
თსსუ-ის ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი, ეროვნული პრემიის ლაურეატი, ი. ჯავახიშვილის თსუ-ის რეზიდენტურის ხელმძღვანელი პალიატიურ მზრუნველობაში, პალიატიური მზრუნველობის რამდენიმე კლინიკის ხელმძღვანელი

* * *

— ჩემო სოსო, იქნებ ერთად დავწეროთ ახალი ოპერა(?!), ან თუნდაც, ახალი სიმფონია , ან სიმღერა(?!)“ - აი, ასეთი უჩვეულო სურვილით მომმართავს ადამიანი, რომელსაც არავითარი პროფესიული მუსიკალური განათლება არ გააჩნია(?!), თუმცა, აქვე უნდა ვაღიარო, რომ მისი თითები, თავისი სინატიფითა და ტექნიკური მოქნილობით, პროფესიონალი პიანისტის შესაძლებლობებს არ ჩამოუვარდება .

აფერუმ შენ, ჩემო მერაბ! პირველ რიგში იმისათვის, რომ გიყვარს მეგობრებთან ერთად კეთილი საქმის კეთება (ეს ხომ შენი პეროფესიის მნიშვნელოვანი ნაწილია) და მეორე: გაგაჩნია უსაზღვრო ნიჭი, სხვა, თუნდაც შენზე მცირე პროფესიული გაქანების ან შესაძლებლობების მქონე ადამიანს/კოლეგას,მოეფერო, დაიახლოვო და აამაღლო.

მე აქ მუსიკა ვახსენე, თუმცა, ასევე შეგიძლია არანაკლები პროფესიული გაქანებით წიგნების წერას მოჰკიდო ხელი(!) ვინაიდან, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია შენი საუბარი, ლექცია, სადღეგრძელო, შენთვის საყვარელ მაღალლიტერატურულ ქართულ, თუ ებრაულ ენაზე, შემკულს ამ ორი ერის სიტყვიერი საგანძურიდან მოყვანილი უამრავი ციტატით, ის ნამდვილად დაეთანხმება ჩემს,ამ თითქოსდა, საფუძველმოკლებულ განცხადებას.

ჩემო მერაბ, პირველ რიგში მიყვარხარ როგორც ადამიანი, ოჯახის კაცი, შენი საქმის დიდი პროფესიონალი, საუცხოო მოქალაქე და ახლობელი, სისხლით ნათესავი (ჩვენი მშობლები ხომ დაძმასავით იყვნენ ერთმანეთთან) რომელსაც, ორი საყვარელი ქვეყნის, ისრაელისა და საქართველოს კეთილი ელჩობა, დაუზარებლად აუტაცნია ხელში და ამ ჭაპანს ასეთი ერთგულებითა და თავგანწირვით უძღვება.

120 წლამდე ჩემო ძმაო, შენს საყვარელ ოჯახთან და მეგობრების დიდ წრესთან ერთად!!!

რას იტყვი- იქნებ, კიდევ მაინც ვცადოთ და შენი ამ საიუბილეო 70 წლის შემდეგ ერთად დავწეროთ ახალი, თუნდაც პატარა ოპერა?..

იოსეგ (სოსო) ბარდანაშვილი
კომპოზიტორი. ისრაელი

* * *

მოგესალმები ჩემო მერაბ. დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავ საიუბილეო თარიღს. გისურვებ მტკიცე ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ ბევრ წარმატებას ჩვენი ორი მოძმე ერის ჯანმრთელობის სადარაჯოზე. შენ მუდამ იყავი გამორჩეული სტუდენტი, პროფესიონალი ექიმი, მეცნიერი, პედაგოგი, ბევრი ახალი ინიციატივის და საქმის სულისჩამდგმელი და ამასთან ერთად, რაც მთავარია, სამაგალითო პიროვნება და მეგობარი.

მიუხედავად იმისა, რომ ორ ათეულ წელზე მეტია დატოვე შენი მშობლიური საქართველო და მოღვაწეობ ასევე შენს მშობლიურ ისრაელში, მაინც არ კარგავ კავშირებს საქართველოს სამედიცინო საზოგადოებასთან და მაქსიმალურად უდგეხარ გვერდში ჩვენს ქვეყანას.

მახარებს ის ფაქტი, რომ შენმა განათლებამ და პროფესიონალიზმმა ისეთივე აღიარება ჰპოვა ისრაელში, როგორც საქართველოში და რომ შენ წარმოადგენ ერთ-ერთ მყარ დამაკავშირებელ ხიდს ისრაელისა და საქართველოს სამედიცინო საზოგადოებებს შორის.

დარწმუნებული ვარ, რომ შენი ცოდნა, გამოცდილება და პოტენციალი კიდევ დიდხანს შეიტანს წვლილს ქართველი და ებრაელი ხალხის საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მეგობრობის განმტკიცებაში.

საუკეთესო სურვილებით,

ამირან გამყრელიძე
მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი.
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი.

ჩემი მეგობარი — პროფესორი მერაბ სარელი

ქირურგიისა და ონკოლოგიის,როგორც მედიცინის ბაზისური დარგების, განვითარებაში შეტანილ ფასდაუდებელ წვლილზე მეტყველებს პროფესორ მერაბ სარელის პედაგოგიური სამეცნიერო და კლინიკური მოღვაწეობა, საპატიო წოდებები და ჯილდოები. მის სახელთანაა დაკავშირებული ადრეულ წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის კათედრის წარმატებული მუშაობა, ხოლო ამჟამად ქირურგიული კლინიკის ეფექტური ფუნქციონირება რიშონ ლე ციონში, რომლის მეპატრონე და ხელმძღვანელი თავად გახლავთ.

პროფესორ მერაბ სარელთან ურთიერთობა 1993წ. დაიწყო, როცა მან შემოაღო ხ.შიბას სახ. სამედიცინო ცენტრის ქირურგიული კლინიკის კარი. მაშინ ის საქართველოში უკვე ტიტულოვანი მეცნიერი — პროფესორი გახლდათ, მე კი დამწყები სტაჟიორი ვიყავი. მხიბლავდა მისი მრავალმხრივი განათლება, ანალიტიკური აზროვნება, ვირტუოზულად შესრულებული ურთულესი ოპერაციები, შინაგანი კულტურა. არ მავიწყდება ჩემი პირველი ნაბიჯები კლინიკაში, რომელიც მისი მეთვალყურეობით მიმდინარეობდა.

ამ დაწესებულებაში მე დღეს ქალის ჯანმრთელობის ცენტრის ძუძუს დაავადებათა ინსტიტუტს განვაგებ და პროფესორ მ. სარელთან როგორც თანასწორი თანასწორთან ისე ვურთიერთობ. მე თითქმის ყველაფერი ვიცი მის შესახებ. ვიცი, რომ ის იყო ერთ-ერთი ახალგაზრდა პროფესორი მთელს საბჭოთა კავშირში და უკვე 38 წლის ასაკში მიანდეს ორი უდიდესი განყოფილების ხელმძღვანელობა, ვიცი, რომ ქალი,რომელიც დღეს მისი მეუღლეა, ერთ დროს მისი სტუდენტი იყო. ვიცი, რომ მისი დაცემა და გაღარიბება მოხდა რამდენიმე ათეული წლის წინათ, მაშინ როდესაც დაკარგა 9 წლის შვილი — საყვარელი გოგონა. ისიც ვიცი, რომ დღეს მერაბის ცხოვრებას მისი ვაჟი ზაზა, რძალი — ლენა და სამი ულამაზესი შვილიშვილი ედენი, დანიელი და დავითი ალამაზებენ.

მე, როგორც ებრაელს, ისრაელელ სპეციალისტს, მეამაყება, რომ მსოფლიოს ქირურგიული სამყარო კარგად იცნობს მ. სარელის მიერ პირველად მოწოდებულ ღვიძლის რეზექციის ორიგინალურ მეთოდს ბალნიანი კათეტერის გამოყენებით. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ პირველად მის მიერ კლინიკურად ინტერპრეტირებულმა ანატომიურმა ფაქტმა ნაღვლის ბუშტის ვენებისა და კარის ვენის ურთიერთობის შესახებ, საყოველთაო გამოყენება ჰპოვა ღვძლის ორეტაპიანი რეზექციების დროს. ონკოლოგიურ ავადმყოფებში. სხვათა შორის, მსოფლიოს ქირურგთა მე-5 კონგრესზე (2015წ)მ. სარელის მიერ ამ საკითხზე გაკეთებულმა მოხსენებამ პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა და სათანადო სერთიფიკატითაც გაფორმდა. იგი არის უბრალო, უაღრესად შრომისმოყვარე და ღვთისმოყვარული კაცი.

120 წლამდე, ჩვენო მერაბ!

დუგლას ზიფელი
ისრაელის ხ.შიბას სახ.სამედიცინო ცენტრის ქალის ჯანმრთელობის დაცვის ძუძუს ინსტიტუტის დირექტორი.

კოლეგებთან ერთად

დღეს ჩვენ მათ ვეუბნებით: გმადლობთ, ბატონებო!

აჰა მიიწურა საშემოდგომო დღესასწაულები: როშ ჰაშანა, იომ ქიფური, სუქოთი.

ამ დღესასწაულებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ებრაელობის ერთგულება ღვთისეული მცნებებისადმი. ეს ერთგულება კი მომავლის პერსპექტივას ავლენს.

სექტემბრის ბოლო დღეს, ებრაელთა ახალი წლის — როშ ჰა შანის საღამოს, თბილისის ბეით ქნესეთებში კვლავაც დიდძალი ხალხი შეიკრიბა. ასე იყო როგორც დიდ, ე.წ. „ახალციხელების“, ასევე „ბეით რახელის“ სალოცავში, რომელიც ადრეულ წლებში ჯერ ე.წ. ლახლუხების, შემდეგ კი აშქენაზების სალოცავად გახლდათ ცნობილი. დღეს კი, სამწუხაროდ, თითო-ოროლა აშქენაზი ებრაელი თუ შემოდის ამ ბეით ქნესეთში. ეს იმიტომ რომ თბილისი აშქენაზთაგან დაიცალა. როგორც ერთ ანეგდოტშია ნათქვამი, ჭკვიანი აშქენაზი თბილისში დარჩენილ აშქენაზს ნიუ-იორკიდან, თელ-ავივიდან, ან ევროპის რომელიმე ქალქიდან მოიკითხავს.

მაგრამ აქ დარჩენილი აშქენაზი ებრაელობაც რომ ერთი ხელის თითებზე ჩამოსათვლელიღაა!

როშ ჰა შანის საღამოს „ბეით რახელის“ გაბაის, იოსებ (სოსო) მოშიაშვილს გარდა, ახალი წლის დადგომის მოლოცვისა, კიდევ ერთი სასიამოვნო მისია ჰქონდა: მან ახალი წელი ისევე მიულოცა ჯამაათს, როგორც არაერთხელ მიულოცნია, მშვიდობის, გამრავლების წელი უსურვა და შეახსენა, რომ ამ დღეებში შესრულდა ათი წელი მას შემდეგ, რაც გაიხსნა „ბეით რახელი“.

ნაგებობა ისედაც ძველი გახლდათ, ამორტიზირებული საუკუნის დასაწყისში მიწისძვრამ კი ბეით ქნესეთი ძლიერ დააზიანა — მასში ლოცვის ჩატარებაც კი საშიში ხდებოდა. საქართველოს ებრაელთა იმდროინდელი მთავარი რაბინი — არიელ ლევინი ცდილობდა, ეპოვა ადამიანი, რომელიც ბეით ქნესეთის აღდგენას ითავებდა. მან მიმართა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის იმდროინდელ პრეზიდენტს, ბიზნესმენ ალექსანდრე მაშკევიჩს, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა რაბინის თხოვნა.

და დაიწყო შენობის არა რეკონსტრუქცია, ახლის აშენება.

ეს გახლდათ ალ.მაშკევიჩის დიდი წამოწყებაა — თავისი პრეზიდენტობის წლებში მან ანალოგიური საქმე — ბეით ქნესეთის რეკონსტრუქცია — ახლის აგება, სხვა ქალაქებშიც იდო თავს, მაგრამ მისი იმჟამინდელი ინიციატივა კიდევ ერთი გარემოებით გახლავთ გამორჩეული — ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა ბეით ქნესეთის აგების საქმეში მონაწილეობის მისაღებად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულ ბით წარმართავს!

აი, ვინ არიან ისინი, ვინც ამ საჯამაათო საქმეში მონაწილეობა — ფინანსების გაღება არ დაიშურა:

თავიდათავი რასაკვირველია, **ალექსანდრე მაშკევიჩი** და „**კერენ რახელი**“ გახლავთ.

ამას მოსდევს:

თემურ საფირი,
დავით იაკობაშვილი,
რეუვენ მიხელაშვილი
ვიტალი შაიაევი,
მენი ელიშაკოვი,
ვაჟა და მიხეილ მანაშეროვები,
ეზრა პარლაგაშვილი,
იოსეგ იუსუბოვი,

სამლოცველო დარბაზში კი „არონ ჰაკოდეშთან“ გაკრული ფირნიში გვატყობინებს, რომ მისი მომზადება **გაბრიელ მირილაშვილმა** იდო თავს.

საპატიო სავარძლები დაიდგა მთავარი რაბინის არიელ ლევინის, რაბინ ავიმელეხ როზენბლატის, ალ. მაშკევიჩის, თემურ საპირის, დავით იაკობაშვილის, გაბრიელ მირილაშვილის — ყველა იმ ადამიანის სახელზე ვინც „ბეით რახელს“ ამაგი დასდო.

თავიდანვე იყო პირობადებული: ბეით ქნესეთის ახალ ნაგებობას მაშკევიჩის დედის — რახელის

ქართველ ებრაელ ბიზნესმენებსაც უხმო.

დღეს ამ ბეით ქნესეთში შესული ადამიანი ხედავს სხვადასხვა ზომის ოქროსფერ დაფებს. ამ დაფებზე ამოტვიფრულია იმ ადამიანთა სახელი და გვარი, ვინც ფინანსური შემწეობით მონაწილეობა მიიღო ბეით ქნესეთის აშენების საქმეში. ზოგიერთი ამათგანი დღეს ამ-ქვეყნად აღარ არის — წუთისოფელს გაეცალა, მაგრამ საქმე, რომელიც მათ გააკეთეს, ცოცხლობს — ისინი კვლავაც მონაწილეობენ ჯამაათის ყოველდღიურობაში.

აი, რას ნიშნავს საჯამაათო საქმისათვის გარჯილობა, აი, რას ნიშნავს, როცა ადამიანი თავის ფინანსურ შესაძლებლობას, სწორი მიმართულებით წარმართავს!

სახელი უნდა დარქმეოდა. ასე დაიბადა „ბეით რახელი“.

არა მხოლოდ ცნობილმა ბიზნესმენებმა, როგორც ზემოთ მოხმობილი სია გვაუწყებს, „ბეით რახელის“ მშენებლობაში ჯამაათის წევრებმაც — ამ სალოცავში მლოცველელებმაც მიიღეს ფინანსური მონაწილეობა.

ათი წლის წინათ — 2009 წლის სექტემბერში — როშ ჰაშანის წინა დღეებში ამ კედლებში დიდი დღესასწაული გახლდათ. აქ მოვიდნენ საქართველოს ებრაელობის წარმომადგენლები, არა მხოლოდ ისინი, ვინც თბილისში ცხოვრობდა, ისრაელიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან, მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულმა ქართველი ებრაელები. აქ იყვნენ საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი **მიხ. სააკაშვილი**, ქ. თბილისის იმდროინდელი მერი **გიგი უგულავა**. მინისტრები, სახელმწიფო მოღვაწენი.

იოსებ მოშიაშვილმა მადლიერების სიტყვები წარმოთქვა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის იმდროინდელი პრეზიდენტის, ბიზნესმენისა და მეცენატის ალექსანდრე მაშკევიჩის მიმართ, ასევე მადლიერებით გაიხსენა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ზისელსის ღვაწლი, რომელიც კონგრესში ახალ სინაგოგათა აგების საკითხს ხელმძღვანელობდა.

რა შედეგი გამოიღო მლოცველებისათვის კარგი პირობების შექმნამ?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს „ბეით რახელი“ ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ებრაული საგანმანათლებლო ცენტრია. ეს სალოცავი დილაადრიან იღება — შახრითის მლოცველთათვის და გვიან იკეტება — აქ მთელი დღის განმავლობაში იღწვიან ადამიანები: სწავლობენ თორას, ეუფლებიან იუდაიზმის საფუძველს. „ქოლელში“, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია მოქმედებს, შესაჩნევია ახალგაზრდობის სიჭარბე. რაბები: ავიმელეხ როზენბლატი, არონ მდინარაძე იაკობ დავითაშვილი, შიმონ წიწუაშვილი, შალიახი ელიაჰუ, რომლის მოძახილი ჯამაათს ატკბობს, ისრაელიდან ჩამოსული სასულიერო პირნი, რომლებიც აქ არიან თავმოყრილნი, ქმნიან თეშუბის ატმოსფეროს და ჯამაათი მოწმეა არაერთი შემთხვევისა, როცა ადამიანები, რომლებსაც სულ რაღაც სამი თუ ოთხი წლის წინათ, ბევრი რამ არ გაეგებოდა იუდაიზმის საფუძვლებისა, მტკიცე თეშუბის გზას ადგანან. ზოგიერთი ამათგანი შესაძლოა, ხვალზეგ სასულიერო პირებადაც კი მოგვევლინონ.

ჯამაათში სუფევს ურთიერთგაგება, პატივისცემა. აქ მხოლოდ ლოცვის ხმები ისმის — მომხიბლავი ჰიმნები. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩავლილმა დღესასწაულებმა: სალოცავში არა მხოლოდ მლოცველთა სიმრავლე გახლდათ, იმის წადილიც, რომ თავთავიანთი შენატანით სალოცავის მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. აქვე ერთი სასიამოვნო ინფორმაციაც უნდა მივაწოდოთ მკითხველს: დიდ, ე.წ. „ახალციხელების“ სალოცავში, ბევრი საორგანიზაციო საკითხი მოწესრიგდა: სახელმწიფოს, ჯამაათის ხელგამოღებისა, თუ ხელმძღვანელობის გარჯილობით, კარგი, სტაბილური მდგომარეობა აქვთ.

ასე რომ, თბილისის ჯამაათი, ღვთის მსახურებას მისცემია.

გერშონ ბენ აბრამ

ჩემი გია ყანჩელი

ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე ვამჯობინებდი ბრძენი ადამიანების მიერ გამოთქმულ აზრს დავჯერდე და ჩემი სათქმელი სიჩუმეს მივანდო, ვინაიდან ვერანაირი სიტყვა ვერ შესძლებს ობიექტურად გამოხატოს ჩემი დღევანდელი სულიერი მდგომარეობა, რომელიც გია ყანჩელის გარდაცვალებამ გამოიწვია.

ან როგორ შემიძლია აგიხსნათ, თუ რას ნიშნავს ჩემთვის, ჩემი შეგნებული ცხოვრების 45 წელი ვიცხოვრო გია ყანჩელისა და მისი („60-ანელთა“) თაობის ჩრდილში. მე ხომ ცოცხალი მოწმე ვარ ამ თაობის მიერ ქართულ კულტურაში (და არა მარტო) რევოლუციური გარდაქმნების ტოლფასი აღმასვლისა. ეს ისეთი ძლიერი ტალღა იყო, რომ მან შემოქმედთა „საძმოს“ ერთიანი სულისკვეთებით, ერთგულების დარად, საფუძვლიანად შესძლო შეეცვალა ჩემი თაობის მსოფხედველობა, ცხოვრების წესი, თუნდაც გემოვნება. შესძლო დასახული, დიდი, თითქოსდა იმ დროსათვის მიუღწეველი მიზნების განხორციელება.

ისრაელში, ვოლფის პრემიის მიღებისას

გია ყანჩელი, უკვე დღეს, ჩვენი ცხოვრების ისეთი **მნიშვნელოვანი ნაწილი** გახდა, რომ გვიჭირს კიდეც ამ ჭეშმარიტებაში დავარწმუნოთ საკუთარი თავი. გია და მისი თანამეინახეები რომ არა, ჩვენი ცხოვრება უდავოდ სხვანაირი იქნებოდა. ქართული მუსიკალური გემოვნებაც უდავოდ სხვა იქნებოდა. გიას სიმფონიები, კამერული მუსიკა რომ არა, ჩვენი მუსიკალური კულტურა ნაკლებად გაბედული და მაპატიეთ ეს გამოთქმა, „პროვინციული“ იქნებოდა. მისი აზროვნების გლობალური მასშტაბი დღეს მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძურია და ეს უდავო ფაქტია!

მის ნაწარმოებებს დედამიწის თითქმის ყოველ კუთხეში იცნობენ. მის მიერ შექმნილი მუსიკალური დრამატურგიის ხერხები, საორკესტრო ფერი, ჰარმონიული მიგნებანი დღეს ახალი საკომპოზიტორო ტექნიკის მონაპოვარია, არა მარტო სერიოზულ მუსიკაში, არამედ კინო და თეატრალურ სამყაროში .

ჩემთვის გია ყოველთვის იყო თანამედროების უდიდესი კომპოზიტორი და ათეული წლების განმავლობაში ჩემი უფროსი სულიერი მეგობარი. რაოდენ დიდად სასიხარულია, რომ ქვეყანამ, რომელიც ჩემს მეორე სამშობლოდ იქცა, ასე დიდად შეაფასა ყანჩელის შემოქმედება და მიანიჭა მსოფლიოში ცნობილ „ვოლფის“ ფონდის პრიზი. პრიზი რომელიც ადრე მიენიჭათ მუსიკის ისეთ უდიდეს კორიფეებს როგორიც არიან: იეუდა მენუხინი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, დანიელ ბარენბოიმი, ისააკ სტერნი, პიერ ბულეზი, ოლივიე მესიანი, კლაუდიო აბადო დაჯორჯ ლიგეტი.

უკვე 70-ნი წლებიდან მე ყანჩელისტი ვარ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიზრდებოდით ვაკუმში, ჩემდა საბედნიეროდ, სხვა დიდი პიროვნებებიც ტრიალებდნენ ჩვენს გარშემო, მაგრამ გია და მისი მუსიკა აღმოჩნდა ის, ვინც **გამაბედინა** ჩემს საკუთარ თავში ჩამეხედა მეტად ღრმად, და მომენახა საკუთარი შემოქმედებითი მეობა. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ებრაული სასულიერო მუსიკით გატაცების მიზეზი და საფუძველი სწორედ გიას მიერ შექმნილი ქართული სულიერების ახალი ფენომენის აღმოჩენა გახდა. საფუძველი, რათა ბევრ ცთუნებას არ ავყოლოდი და უკიდეგანო „სიმარტივეში“ მიმეკვლია საკუთარი თავისთვის.

გია რომ არა, დღეს ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება შესაძლოა, სრულიად განსხვავეული ყოფილიყო. გიამ მიმიყვანა ახალგაზრდა დამწყები კომპოზიტორი რობიკო სტურუასთან რუსთაველის თეატრში, რამაც საშუალება მომცა მომავალში ახლოს გავცნობოდი ქართული, რუსული (საბჭოთა) და ისრაელის კულტურის კორიფეებს. მისი დახმარებით ჩემთვის გაიხსნა ბევრისთვის შეუღწეველი კარები.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ის სიცოცხლის ბოლო დღეებამდე რჩებოდა დაინტერესებული, ობიექტური და კრიტიკული ჩემი შემოქმედების მიმართ.

ჩვენ ბედნიერნი უნდა ვიყოთ, რომ ვცხოვრობდით ეპოქაში, რომელსაც ბევრ სხვა მსგავს დიდ ხელოვანებთან ერთად ამდიდრებდა გია ყანჩელის შემოქმედება. ეს მხოლოდ დასაწყისია, ვინაიდან მისი სიდიადე, როგორც **უნიკალური ქართველი შემოქმედისა,** ჯერ კიდევ **აღსაქმელი** გვაქვს და ეს გზა ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, თვითწდომისა და უსასრულო ამაღლების გზა იქნება.

მტკივნეულია დანაკლისი, მაგრამ დროთა გადასახედიდან უფრო დიდია შენაძენი.

იოსებ (გიასთვის სოსო) ბარდანაშვილი

ხაია ფელდმანის წერილი

ისრაელის ბევრ ქალაქში შეხვდებით ქუჩას დასახელებით „93“. თითქმის არავინ იცის რატომ დაერქვა ასეთი უცნაური სახელწოდება თელ-ავივის, რიშონის, ხაიფის და სხვა ქალაქების ქუჩებს. მას ძალიან სევდიანი ისტორიული ფაქტი უდევს საფუძვლად.

ზუსტად 102 წლის წინ (1917 წელს) სარა შნირერმა ჩამოაყალიბა სკოლა-სემინარი ებრაელი გოგონებისათვის კრაკოვში(პოლონეთში) სახელწოდებით „ბეით იააკოვ“, ანუ „იაკოვის სახლეული“. მოგვიანებით მთელს ევროპაში გაიხსნა სკოლის ფილიალები იგივე დასახელებით. შემდეგ კი ამერიკასა და ისრაელშიც. ებრაელ გოგონებს ასწავლიდნენ თორას, ჰალახებს, მოკრძალებული ქცევის წესებს, ცხოვრებაში გამოსადეგ ხელობებს...

მეორე მსოფლიო ომის ტალღამ კრაკოვსაც მიაღწია... ერთ დღეს ფაშისტური გერმანიის ჯარმა აღმოაჩინა, რომ სასწავლებლის შენობაში ებრაელები არიან, უფრო სწორად - ებრაელი ახალგაზრდა ქალები და გოგონები. რაღა თქმა უნდა, რომ გადაწყვიტეს მათი დატყვევება. პირველ რიგში ბნელ ჯურღმულში ჩაყარეს ყველა ერთად... მათ შორის იყო ხაია ფელდმანი, ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელმაც 1942 წლის ზაფხულში დაწერა წერილი და გეტოდან გაგზავნა მოახერხა. წერილი გაუგზავნა „ბეით იაკოვის“ ნიუ-იორკის ფილიალის წარმომადგენელ, მეირ შანკოლბესკის. წერილი დაიწერა იდიშზე:

„არ ვიცი, როდის მოაღწევს წერილი თქვენთან და არც ის ვიცი გახსოვართ თუ არა. როცა წერილს წაიკითხავთ, ცოცხალი აღარ ვიქნები. სულ რამდენიმე საათიც და ყველაფერი წარსულს ჩაბარდება. ჩვენ აქ ოთხი ოთახი გვქონდა. აქ ახლა 93 სული ვართ, გოგონები და ქალები, 14 წლიდან 22 წლამდე, ბეით იაკოვის მოსწავლე-მასწავლებლები. 27 ივლისს გესტაპოს წარმომადგენლებმა წაგვასხეს და ბნელ სარდაფში დაგვამწყვდიეს. მხოლოდ წყალი გვაქვს დასალევი. მოწაფეებს ძალიან ეშინიათ, მაგრამ ჩვენ, უფროსები ვამხნევებთ, ვინაიდან სულ ცოტა ხანში ყველა დედა სარასთან ვიქნებით. გუშინ ამოგვიყვანეს სარდაფიდან და გვიბრძანეს გვებანავა. წაგვართვეს ყველას ტანისამოსი და მხოლოდ პერანგები დაგვიტოვეს. გვითხრეს, რომ დღეს გერმანელი ჯარისკაცები უნდა მოვიდნენ თითქოსდა ჩვენს მოსანახულებლად. ჩვენ ერთმანეთს შევფიცეთ, რომ თავი უნდა მოვიკლათ. გერმანელებმა არ იციან: აბაზანა რომელიც გაგვიმზადეს, ეს ჩვენი ტებილა (განბანვა. რედ.) იყო სიკვდილის წინ: საწამლავი გვაქვს გამზადებული, ჯარისკაცები რომ მოვლენ, დავლევთ. დღეს ყველა ვიდუის (მონანიებას) ვამბობთ. არაფრისა არ გვეშინია. მხოლოდ ერთი თხოვნა გვაქვს თქვენთან პატივცემულო: წაგვიკითხეთ კადიში (მიცვალებულთა მოსახსენიებელი ტექსტი. რედ.) 93 ისრაელის ქალიშვილისათვის! სულ ცოტა ხანში ვიქნებით უკვე იმენუ(დედა) სარასთან.“

ამ წერილმა 1943 წლის 5 იანვარს სასწაულებრივად მიაღწია ადრესატს. სასწრაფოდ შესდგა რაბინების კომისია, რომელზეც გამოქვეყნდა წერილი. მოგვიანებით გამოქვეყნდა „ნიუ-ორკ ტაიმსში“ აგრეთვე სხვა ქვეყნის პრესაშიც. პირველად ისრაელის მიწაზე შეიკრიბნენ მსოფლიოს წამყანი რაბინები და ადარის თვის 26 რიცხვი, ანუ მომხდარი ტრაგედიის თარიღი, გამოაცხადეს დაღუპული გოგონების სულთა მოხსენიების დღედ...

ეს სევდიანი ისტორია დღეს მხოლოდ ღრმად მორწმუნე ებრაელებს და „ბეით იაკოვის“ მოსწავლე-მასწავლებლებს ახსოვთ...

„ბეით იაკოვის“ სკოლა კი ისევ განაგრძობს ებრაელ გოგონათა აღზრდას, მათ თორის გზაზე დაყენებას.

ბარ მიცვა



ვულოცავთ!

დაყით ენოხმა – ძემ ქლი და ნინო ენოხებისა, ამ დღეებში კაცობაში შეაბიჯა და ჯამაათის წევრი გახდა. დაიწყო მისი დიდი ცხოვრების გზა.

ვულოცავთ და ვუსურვებთ ამ გზაზე წარმატებით სვლას.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

EAJC EURO-ASIAN JEWISH CONGRESS

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 ბ-557
9771987898003